საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №188/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2019 წლის 18 ნოემბრის №188 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 დეკემბრის №188/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არაერთხელ მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემის მოთხოვნით, რადგან რაიონული სასამართლოს განსახილველ საქმეს მაგისტრატი მოსამართლე განიხილავდა. მოთხოვნის მიუხედავად სასამართლოს თავმჯდომარემ საქმე განსახილველად სხვა მოსამართლეს არ გადასცა რითაც არ შეასრულა მასზე დაკისრებული თავმჯდომარის მოვალეობა და დაარღვია სამოსამართლო ეთიკის წესები. ასევე, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ -- -- აღნიშნული ქმედებით ხელი შეუწყო საქმის განხილვის გაჭიანურებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 12 ივნისს, -- -- სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მოსარჩელე -- -- მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ №-- ბაგა-ბაღის №-- ბაგა-ბაღიდან გამოყოფის, სამუშაოზე აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ არაერთხელ დააზუსტა სარჩელი, სარჩელზე არაერთხელ დაუდგინდა ხარვეზი და საბოლოოდ -- -- სასამართლოს 2019 წლის 12 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში. მოსარჩელეს დაუბრუნდა სასარჩელო განცხადება და თანდართული დოკუმენტები.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 დეკემბრის დასკვნა:

-- -- და -- -- 2019 წლის 18 ნოემბრის №188 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.დ“. მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს თავმჯდომარემ ამ კანონის 58[1] მუხლით დადგენილი წესით შერჩეულ მოსამართლეს, მისი თანხმობით, შეიძლება დაავალოს საქმის ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში) განხილვა, აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განხილვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს თავმჯდომარის 2017 წლის 25 დეკემბრის 107-ე ბრძანებით -- -- სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს -- -- -- -- 2017 წლის 31 დეკემბრიდან დაევალა -- -- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა.

-- -- სარჩელი -- -- სასამართლოში შევიდა 2018 წლის 12 ივნისს. საქმის განაწილების დოკუმენტის თანახმად საქმე შემთხვევითი განაწილების პრინციპით განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. მართალია მხარემ არაერთხელ მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემის მოთხოვნით, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ -- -- სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით -- -- სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს -- -- დაკისრებული ჰქონდა --

-- სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის მოვალეობა.

შესაბამისად, მაგისტრატ მოსამართლეს, რომელიც ახორციელებდა რაიონული მოსამართლის მოვალეობას უფლება ჰქონდა განეხილა აღნიშნული საქმე, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეს არ ჰქოდა უფლებამოსილება საქმე განსახილველად სხვა მოსამართლისათვის გადაეცა.

ამდენად, მოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- მიერ ადგილი ჰქონდა დისციპლინური გადაცდომ(ებ)ის შესაძლო ჩადენის ფაქტს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №188/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი